შპს "მარნეულის სოფწყალი"
434158163 საქართველო, ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №73

"MARNEULIS SOPTSKALI" LTD
434158163 73 str. Rustaveli, Marneuli, Georgia

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 23
20/03/2019

23-0-4-201903201725

გადაუდებელი აუცილებლობით ჭაბურღილის ტუმბოს ძრავის გამარტივებული შესყიდვის გზით შესყიდვის შესახებ

2019 წლის 18 მარტს შპს „მარნეულის სოფწყალი“-ს საკუთრებაში არსებულ სოფ თამარისის სათავე ნაგებობაზე დამონტაჟებული ჭაბურღილის ტუმბოს ძრავის ( 11 კვტ სიმძლავრის) დაზიანების ( არ ექვემდებარება აღდგენას ) და აქედან გამომდინარე მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდების შეწყვეტასთან დაკავშირებით, შ.პ.ს. @“ მარნეულის სოფწყალი „–ს წესდების მე–6 მუხლის და „ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე– $10^1$ მუხლის მე – 3 პუნქტის „ ბ „ ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანების მე – 3 მუხლის პირველი პუნქტის „ ბ „ ქვეპუნქტის, მე – 4 მუხლის მე-3 პუნქტის და მე-5 მუხლის თანახმად, შპს „მარნეულის სოფწყალი“-ს დირექტორის მოადგილის ალექსი მამუკაშვილის 2019 წლის 20 მარტის (შემ № 38) მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის და მოსახლეობისთვის მეტად მნიშვნელოვანი სასმელი წყლის მიღების მიზნით, განხორციელდეს გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული ჭაბურღილის ტუმბოს 11 კვტ-იანი სიმძლავრის ძრავის გამარტივებული შესყიდვის გზით შესყიდვა;
2. ბრძანება შესასრულებლად გადაეცეს შ.პ.ს. @“ მარნეულის სოფწყალი „–ს ფინანსურ მენეჯერს (მთავარ ბუღალტერს) თ. დარბაიძეს და შესყიდვების კოორდინატორს ნ. ლომიძეს;
3. ინფორმაცია გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს;
4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად;
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ნაბი აბდულაევი _____

დირექტორი